ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 12 17 აპრილი 2015 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება გენერალური დირექტორი მანანა ხაჩიძე (შემდგომში დამკვეთი) და მეორე მხრივ საქართველოს სპორტული ქოჯაელის კლუბის წარმომადგენელი ნინო ოქროპირიძე /შემდგომში შემსრულებელი/ მცხ.მცხეთის რ-ნი,სოფ გოროვანი ტელ. 555480089, პ/ნ №31001006275 ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების კულტურის ადმინისტრაციის მონაწილეთა ტრანსპორტირება კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე ,თურქეთში (გიოლჯუკში) მარშრუტით მცხეთა- მუხრანი- თურქეთი- ქოჯაელის ვილაეთი ქ.გიულჯუქი – მუხრანი- მცხეთა , თანხა შეადგენს 4990 (ოთხიათასოთხმოცდაათი ლარი) ლარი

CPV კოდი – 63510000 ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები

2. შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 შესრულების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 – სამუშაო დღის ვადაში
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4990 (ოთხიათასოთხმოცდაათი ლარი) ლარს

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 შემსრულებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 შემსრულებელი ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ნ.მამულაშვილი, ზ. მარტოლეკი.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების სპეციალისტი ზოია მარტოლეკი

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ
8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული
დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშ თანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლოის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება , დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11..2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი

თვითმმართველი თემის
მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო

დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036371

ტელ: 593 393 453

ს.ს "ლიბერთი" ბანკის მცხეთის ფილიალი

ა/ა GE19LB0115119649324000
ბ/კ LBRTGE22
მის: მცხეთა, მამულაშვილის ქ.12
ტელ: 2 51 25 69

გენერალური დირექტორი
მანანა ხაჩიძე

შემსრულებელი

საქართველოს სპორტული
კლუბი ქოჯაელი

ტელ : 555480089

სს „ლიბერთი ბანკი„
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE08LB0115120230186000

ს/კ 436031811

საქართველოს სპორტული კლუბი ქოჯაელი
წარმომადგენელი
ნინო ოქროპირიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.მცხეთა 17 აპრილი 2015წელი

ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება, დირექტორი მანანა ხაჩიძე და საქართველოს სპორტული ქოჯაელის კლუბის წარმომადგენელი ნინო ოქროპირიძე ვადასტურებთ, რომ გაერთიანების კულტურის ადმინისტრაციისათვის (კოდით 63510000) 4990 (ოთხიათასცხრაასოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით სამგზავრო სატრანსპორტო საშუალების დაქირავების შესახებ .გამარტივებულ შესყიდვებში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე–8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებულ ,, გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე–17 მუხლის მოთხოვნებს და აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გაერთიანების გენერალური
დირექტორი — მ.ხაჩიძე

საქართველოს სპორტული კლუბის
ქოჯაელის წარმომადგენელი — ნ.ოქროპირიძე

შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

ქ. მცხეთა 29 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალურ დირექტორმა მანანა ხაჩიძემ, ადმინისტრაციის მთავარ სპეციალისტმა ნინო მამულაშვილმა, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მთავარ სპეციალისტმა ზოია მარტოლეკმა, მეორე მხრივ საქართველოს სპორტული ქოჯაელის კლუბის წარმომადგენელმა ნინო ოქროპირიძემ, №12 ხელშეკრულების 17.04.15 წლის თანახმად შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ 2015 წლის 21 – 28 აპრილს ნამდვილად მოხდა მონაწილეთა ტრანსპორტირება ავტობუსით კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე თურქეთში (გიოლჯუკი) მარშრუტით მცხეთა-მუხრანი-ქ.გიულჯუკი-მუხრანი-მცხეთა, მგზავრობის ფასი შეადგენს სულ თანხით 4990 ლარი, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

გაერთიანების გენერალური
დირექტორი მ. ხაჩიძე

ადმინისტრაციის
მთავარი სპეციალისტი ნ. მამულაშვილი

საბუღალტრო აღრიცხვისა
და ანგარიშგების განყოფილების
მთავარი სპეციალისტი ზ. მარტოლეკი

საქართველოს სპორტული
ქოჯაელის კლუბის
წარმომადგენელი ნ. ოქროპირიძე

შ ე ს რ უ ლ ებ ი ს ა ქ ტ ი

ქ. მცხეთა 29 აპრილი 2015 წელი

თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მანანა ხაჩიძემ, გენერალური დირექტორის თანაშემწემ მიხეილ გელიაშვილმა, გაერთიანების ადმინისტრაციის მთავარ სპეციალისტმა ნინო მამულაშვილმა, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მთავარ სპეციალისტმა ზოია მარტოლეკმა, კულტურის ადმინისტრაციის მენეჯერმა თამარ წერეთელმა, შევადგინეთ აქტი, მასზედ რომ 2015 წლის 21-28 აპრილს ნამდვილად ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ გიულჯუქში საერთაშორისო ახალგაზრდული კულტურის ფესტივალი , სადაც მონაწილეობა მიიღო მუხრანის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, წილკნის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომელნიც არიან მუხრანის კულტურის სახლთან არსებულ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიული ანსამბლების წევრები, აგრეთვე თანამედროვე და ლათინო-ამერიკული ცეკვის ანსამბლის წევრები წილკნის კულტურის სახლის ფოლკლორის ჯგუფის წევრები (სულ 31 მოსწავლე), მათ შორის პედაგოგები და მშობლები, ჯგუფს ხელმძღვანელობდა თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასსპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალური დირექტორი ქალბატონი მანანა ხაჩიძე, მგზავრობის თანხა შეადგენს 4990 (ოთხიათასოთხმოცდაათი ლარი) ლარს მუხრანი – თურქეთი (გიულჯუკი) – მუხრანი, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით,

გაერთიანების გენერალური დირექტორი	მანანა ხაჩიძე
ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი	ნინო მამულაშვილი
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	ზოია მარტოლეკი
გაერთიანების გენერალური დირექტორის თანაშემწე	მიხეილ გელიაშვილი
კულტურის ადმინისტრაციის მენეჯერი	თამარ წერეთელი